საქმე № 1/209-16

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

ქ. გორი

22.07.2016 წელი

გორის რაიონული სასამართლო

მოსამართლე ლევან დარბაიძე
სხდომის მდივანი მარიამ გამგებელი
სხდომის სახე ღია სასამართლო სხდომა

ბრალდების მხარე

პროკურორი - შ. ნ. ი

დაცვის მხარე

ადვოკატი - ... შ. ... ი

ბრალდებული - ი. ... ი. ... მ. ... ე., დაბადებული ... წლის ... - საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი ... დაოჯახებული, ..., რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები: ქ. გორი, ე. ... ქუჩა

კვალიფიკაცია

თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით.

თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (ორი ეპიზოდი), დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა"ქვეპუნქტით.

ი. ბ. ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 15 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ზ. ... ... და შპს „... ...“-ს (ს/კ ...) დირექტორს ი. ... ... შორის დაიდო ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის შესახებ. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ქ. გორში რუსთაველის ქუჩის, ლერმონტოვის ჩიხის და ქუთაისის ქუჩის გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, თანდართული პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განისაზღვრა 202 380 ლარით, დღგ-ს ჩათვლით. ამავე ხელშეკრულების მიხედვით შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან ოცდაათ კალენდარულ დღეში. შპს „... ...“-ს (ს/კ ...) დირექტორმა ი. ... ... განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოტყუებით დაუფლებოდა სახელმწიფოს კუთვნილ ფულად თანხებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ი. ... ... არასწორი მონაცემები შეიტანა შესრულებული სამუშაოებისმ იღების აქტებში. ი. ... ... ზემოაღნიშნული შესრულებული სამუშაოების მიღების აქტები, 2012 წლის 14 სექტემბერს წარადგინა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, რის შემდეგაც 2012 წლის 17 სექტემბერს შპს „... ...“-ს საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა ფულადი თანხა 196 484,99 ლარის ოდენობით. ამდენად, ი. ... ... მიუთითა, რომ თითქოსდა შპს „... ...“-ს მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა საერთო ჯამში 196 484,99 ლარს, მაშინ როდესაც რეალურად შპს „... ...“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 193 875, 5 ლარს. საბოლოოდ, ი. ... ... მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ 2 609,49 ლარის ოდენობის ფულად თანხას.

ი. ... ... ასევე ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 3 სექტემბერს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დ. ... ... და შპს „... ...“-ს (ს/კ ...) დირექტორის ი. ... ... შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ... ხელშეკრულება. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის სოფლების კარალეთი-ქვეშის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განისაზღვრა 1 800 000 ლარით, სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების გათვალისწინებით. ამავე ხელშეკრულების მიხედვით შესყიდვის

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩადინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ქმედება დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც დანაშაული 2012 წლის 2 ოქტომბრამდე ჩაიდინა.

ამავე კანონის 23-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე ამ კანონის პირველი-21-ე მუხლებით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო.

2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მეოთხე პუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს ის ბრალდებული/მსჯავრდებული მამაკაცი, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მოსწრებისთვის არის 70 (სამოცდაათი) წლის ან 70 (სამოცდაათ) წელზე მეტი ასაკის, აგრეთვე ბრალდებული/მსჯავრდებული ქალი – 65 (სამოცდახუთი) წლის ან 65 (სამოცდახუთ) წელზე მეტი ასაკის, თუ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 182-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, ამ პირობით, თუ თითოეული დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ შესაბამის დანაშაულთა საქმეებზე გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებსა და მე-2 პუნქტში მითითებული პირობის გათვალისწინებით.

ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2015 წლის 31 დეკემბრამდე ჩაიდინა.

ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით, ბრალდებულის, მათ შორის, ეჭვმიტანილი ბრალდებულის, მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას გამოძიების სტადიაზე იღებს შესაბამისი პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე – შესაბამისი სასამართლო.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ გამოცემულია

ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხმოც კალენდარული დღეში. შპს „[illegible]“-ს (ს/კ [illegible]) დირექტორმა ი. [illegible] გამიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საშახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლებოდა სახელმწიფოს კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ი. [illegible] ორასმორი მონაცემები შეიტანა შესრულებული სამუშაოების მიღების აქტებში. ი. [illegible] ზემოაღნიშნული შესრულებული სამუშაოების მიღების აქტები სამუშაოების მიმდინარეობისას, ორეტაპად წარადგინა გორის მუნიციპალიტეტის განყოფილებაში, რის შედეგადაც 2013 წლის 08 ოქტომბერს შპს „[illegible]“-ს სასანგო ანგარიშზე ჩაირიცხა ფულადი თანხა 1 693 380,63 ლარის ოდენობით. ხოლო 2013 წლის 21 ნოემბერს ჩაერიცხა ფულადი თანხა 48 794, 35 ლარის ოდენობით. ამგვარად, ი. [illegible] მოიპარა, რომ ითაქის და შპს „[illegible]“-ს მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა სარეთო ფასში 1 742 174, 98 ლარს, მაშინ როდესაც რეალურად შპს „[illegible]“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 1 669 208, 81 ლარს. სამოლოოდ, ი. [illegible] მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საშახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ 72 966,17 ლარის ოდენობის ფულად თანხას.

ი. [illegible] ასევე მრავალი ეჭვება მასში, რომ მან ჩადინა თაღლითობა, ანუ იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საშახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სხვისი ნივთის დაეუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2014 წლის 10 მარტს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დ. [illegible] ნ. [illegible] და შპს „[illegible]“-ს (ს/კ [illegible]) დირექტორის ი. [illegible] შორის ნ. [illegible] შორის დადგა [illegible] ხელშეკრულება. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ქ. გორში და მუნიციპალიტეტის სოფლებში გზებისა და ეზოების ასფალტის საფარის აღდგენა-მოწყობა. კერძოდ: ქ. გორში ყაზბეგის ქუჩის (მარტყოფის ქუჩიდან-ოლადაშვილის ქუჩამდე) ასფალტის საფარის მოწყობა, ქ. გორში ჭანტურიის ქუჩაზე მდებარე №4 საკარო სკოლის ეკერდით მრავალ ჩიხში ასფალტის საფარის აღდგენა. ქ. გორში ტბილელის გზატკეცილზე მდებარე საავტომობილო მრავალი ჩიხის ასფალტის საფარის აღდგენა. სოფელ ტირნისხიდში გზის საფარის ორმოების შეკეთება, ქ. გორში სტერეოს ქუჩის მონაკვეთის (სუხიშვილის ქუჩიდან კიბეებამდე) ასფალტის საფარის აღდგენა, ქ. გორში რუსთაველის ქუჩის მონაკვეთის ასფალტის საფარის აღდგენა, ქ. გორში ცაბაძის ქუჩის №5 და №7 საცხოვრებელი სახლების ეზოების ასფალტის საფარის მოწყობა და ქ. გორში აღმაშენებლის ჩიხის ასფალტის საფარის მოწყობასთან დაკავშირებული ფიზიკური აქტების და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განისაზღვრა 179800,80 ლარით, სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საკრებულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების გათვალისწინებით. ამავე ხელშეკრულების მიხედვით შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან ოცდათ კალენდარულ დღეში. შპს „[illegible]“-ს (ს/კ [illegible]) დირექტორმა ი. [illegible] გამიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საშახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლებოდა სახელმწიფოს კუთვნილ ფულად თანხებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ი. [illegible] ორასმორი მონაცემები

შეიტანა შესრულებული სამუშაოების მიღების აქტებში და შესრულებული სამუშაოების მიღების აქტები, 2014 წლის 26 მარტს წარადგინა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, რის შემდეგაც 2014 წლის 28 მარტს შპს „[illegible]“-ს საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა ფულადი თანხა 179 069,75 ლარის ოდენობით. ამდენად, ი[illegible] მ[illegible] მიუთითა, რომ თითქოსდა შპს „[illegible]“-ს მიერ შესრულებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა საერთო ჯამში 179 069,75 ლარს, მაშინ როდესაც რეალურად შპს „[illegible]“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 175 195, 25 ლარს. საბოლოოდ, ი[illegible] მ[illegible] მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საშსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ 3 874,5 ლარის ოდენობის ფულად თანხას.

2016 წლის 21 აპრილს ი[illegible] მ[illegible] წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და ამავე კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდისათვის).

გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის განჩინებით ი[illegible] მ[illegible] აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

წინასასამართლო სხდომაზე, გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის განჩინებით ი[illegible] მ[illegible] ბრალდების სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას და საქმის არსებითი განხილვის სხდომა დაინიშნა 2016 წლის 28 ივნისს, 13:00 საათზე.

2016 წლის 22 ივლისს, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, ი[illegible] მ[illegible] ინტერესების დამცველმა ადვოკატმა - ნ[illegible] მ[illegible] დაიყენა შუამდგომლობა 2012 წლის 28 დეკემბრისა და 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ, წარდგენილი ბრალდების სამივე ეპიზოდში, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

ბრალდებული ი[illegible] მ[illegible] დაეთანხმა ადვოკატის შუამდგომლობას.

პროკურორი სრულად დაეთანხმა ადვოკატის შუამდგომლობას და ითხოვა ი[illegible] მ[illegible] მიმართ წარდგენილი ბრალდების სამივე ეპიზოდში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, შეამოწმა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და ბრალდებულის მიმართ 2012 წლის 28 დეკემბრისა და 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონების მოქმედების გავრცელების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები და მიაჩნია, რომ ადვოკატის შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ბრალდებულ ი[illegible] მ[illegible] მიმართ წარდგენილი ბრალდების სამივე ეპიზოდში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო: